ხელშეკრულება #641

ქ. თბილისი

"6" "აგვისტო" 2013წ.

დაიდო ერთის მხრივ, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ.#9) გენერალურ დირექტორის ამირან გამყრელიძის (შემდგომში "შემსყიდველი") სახით და მეორეს მხრივ არასამეწარმეო იურიდიული პირი ააიპ "ადიგენის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დირექტორს [illegible] [illegible]----(შემდგომში "მიმწოდებელი") შორის შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 "საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი.

1.2 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10I მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

1.3 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი.

1.4 „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონი.

1.5 ,,იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2012 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2013 წლის შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე და ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ამოქმედებამდე'' საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის #482 დადგენილება (შემდგომში„დადგენილება").

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის N92 დადგენილებით დამტკიცებული "ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის", "რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრებისთვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში მომსახურების დაფინანსების კომპონენტის" ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა.(cpv 85100000)

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება თვეში განისაზღვრება 595 (ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარით.

3.2 ხელშეკრულების ერთიანი ეკონომიკური პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

3.3 შესაძლებელია მოხდეს სიტუაციური ცვლილებები, რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და გაფორმდება შესაბამისი ცვლილების სახით იმ შემთხვევაში თუ ცვლილება დაკავშირებული არ არის ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდასთან.

3.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1190 (ათას ას ოთხმოცდაათი) ლარს.

## 4. ხელშეკრულების ობიექტი

ა) ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო სტატისტიკური სისტემის მუშაობის უზრუნველყოფა:

ა.ა) მუნიციპალურ დონეზე არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის (შემდგომში – სჯდ) ცენტრების მიერ სამოქმედო ტერიტორიაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი გადამდებ დაავადებებზე მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად;

ა.ბ) მუნიციპალური სჯდ ცენტრების მიერ სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და წარდგენა რეგიონში;

ა.გ) რეგიონულ დონეზე სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და წარდგენა სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში;

ა.დ) მუნიციპალურ ერთეულებში სჯდ სამსახურების მუშაობის მონიტორინგი;

ბ) იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება საინფორმაციო სისტემისა და ლოჯისტიკის გამართული მუშაობის გზით:

ბ.ა) მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრების მიერ სამოქმედო ტერიტორიაზე იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, იმუნოპროფილაქტიკისათვის და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მასალისა და აღჭურვილობის აუცილებელი მარაგის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით და იმუნოპროფილაქტიკის შესახებ ანგარიშგების წარმოება;

ბ.ბ) მუნიციპალურ ერთეულებში სჯდ სამსახურების მიერ სამოქმედო არეალზე იმუნიზაციის ლოჯისტიკისა და ექსპედიციის განხორციელების მონიტორინგი (დამხმარე ზედამხედველობა);

გ) მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრების მიერ სამოქმედო ტერიტორიაზე მიმდინარე წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის ეპიდზედამხედველობითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

## 5. შესყიდვის ობიექტის გაწევის ადგილი და პირობები

5.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული „მომსახურების“ გაწევის ადგილია ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ ერთეულში შემავალი მუნიციპალური ერთეულების სამოქმედო ტერიტორია;

5.2 “შემსყიდველი” ითვალისწინებს, რომ “მიმწოდებლისათვის” სრულადაა ცნობილი დასახული ამოცანები და მათ შესასრულებლად გამოსაყენებელი ნორმატიული დოკუმენტაცია.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ფორმა და ვადები

6.1 „მომსახურების“ მიწოდების ადგილი _ თბილისი, მ. ასათიანის ქ. 9, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

6.2 მიწოდების ფორმა _ „მომსახურების“ ღონისძიებათა შესრულება „შემსყიდველის“ მიერ თანდართული ფორმებით.

6.3 „მომსახურების“ მიწოდების ვადები _ ყოველთვიურად, ხელშეკრულების ობიექტში განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად შესაბამისი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტებით დადგენილი ვადები;

6.4 „მომსახურების“ გაწევის ვადაა _ 2013 წლის პირველი აგვისტოდან 2013 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით (მომსახურების გაწევის ვადა შესაძლებელია შეწყდეს 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებისა ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებისა, ან ვაუჩერის

პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენისას, ხელშეკრულების შეწყვეტისას არასრული თვეში ასანაზრაურებელი თანხა განისაზღვრება კალენდარული დღეების პროპორციულად).

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.3 ანაზღაურება განხორციელდება ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრული ერთი თვის ღირებულების მიხედვით.

7.4 ანაზღაურება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ „დადგენილებით" განსაზღვრული წესის შესაბამისად.

7.5 „მიმწოდებელი" ყოველთვიურად წარმოადგენს ანგარიშს ნაბეჭდი და ელექტრონული (Sylfaen) სახით მის მიერ საანგარიშო თვეში გაწეული „მომსახურების" შესახებ, თანდართული საანგარიშგებო ფორმებით.

7.6 „მიმწოდებელი" ყოველთვიურად და კვარტალურად წარმოადგენს სრულ წერილობით ინფორმაციას „მომსახურების" მიმდინარეობის შესახებ საჭიროების შესაბამისად.

7.7 „მიმწოდებელი" სრულად აგებს პასუხს მის მიერ მიწოდებული ანგარიშების უტყუარობაზე. „მიმწოდებელი" ადგილზე ინახავს ანგარიშებს და პირველად დოკუმენტაციას დადგენილი წესის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში გაცნობისათვის პირველივე მოთხოვნისთანავე წარუდგენს „შემსყიდველს".

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული შესრულების შემდგომ ან/და გარკვეული ეტაპის დამთავრების შემდგომ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილია: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. 9, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

8,3 არასწორად, არასრულად ან არაკორექტულად წარმოდგენილი ანგარიშსწორების ფორმა უბრუნდება „მიმწოდებელს" მის საბოლოო შესწორებამდე, ამასთან შედეგებზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს.

9. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

9.1 "მიმწოდებელი" იძლევა "მომსახურების" შესაბამისი ხარისხის სრულ გარანტიას.

9.2 უხარისხო "მომსახურების" მთლიანად ან ნაწილის გამოსწორება ხდება "მიმწოდებელის" მიერ რაიმე დამატებითი ხარჯების მოთხოვნის გარეშე.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10. 1 "შემსყიდველი" ვალდებულია:

10.1.1 აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" გაწეული „მომსახურების" ღირებულება.

10.1.2 მიაწოდოს "მიმწოდებელს" ინფორმაცია და სრული დოკუმენტაცია შესასყიდი ობიექტის შესახებ.

10.1.3 დაუყოვნებლივ აცნობოს "მიმწოდებელს" მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც შედის "შემსყიდველის" კომპეტენციაში და რომელიც შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

10.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია:

10.2.1 მიაწოდოს "შემსყიდველს" "მომსახურება", რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და ყველა სხვა მონაცემებით "შემსყიდველის" დაკვეთას.

10.2.2 აცნობოს "შემსყიდველს" ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.

10.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

10.3 "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

10.3.1 მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუნქტის უცილობელი შესრულება;

10.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა;

10.3.3 მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" სათანადო განმარტებანი, დოკუმენტაცია, რომლის არსებობის გარეშეც შეუძლებელი იყო "მომსახურების" გაწევა;

10.3.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს იმ შემთხვევაში თუ "მიმწოდებელის" ქმედების გამო იგი დგება ფაქტთან, რომ შეიძლება დაირღვეს სახელმწიფო ინტერესები, მოითხოვოს ზარალის სრული ანაზღაურება;

10.3.5 არ სცნოს "მიმწოდებელის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

10.3.6 არ აანაზღაუროს სამოქმედო ტერიტორიაზე მუნიციპალურ ერთეულებში არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურების მიერ გაწეული "მომსახურება", რომელთა ინსპექტირების დროს ისინი არაკორექტულად იქნა მიჩნეული;

10.3.7 არ აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების არასრულად შესრულების შემთხვევაში.

10.4 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

10.4.1 მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" მის მიერ მიწოდებული "მომსახურების" ღირებულების ანაზღაურება.

10.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან გაგრძელებაზე იმ შემთხვევაში თუ "შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო შეუძლებელი ხდება "მომსახურების" მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

10.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება "შემსყიდველთან" სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

10.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს"შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

## 11. ხელშეკრულების სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შესახებ მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

11.2 "შემსყიდველი" დროებით სარგებლობაში გადასცემს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით განსაზღვრულ ღონისძიებათა შესრულებისათვის ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბალანსზე რიცხულ ქონებას (სამედიცინო და სხვა დანიშნულების).

11.3 "შემსყიდველი" უფლებამოსილია თემატური წერილებისა და სამართლებრივ სპეციფიკურ სამედიცინო ასპექტებთან მიმართებაში მიიღოს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კვალიფიციური პასუხები და ინფორმაცია "მიმწოდებლისგან".

11.4 ~შემსყიდველი~ არ მიიჩნევს დასაშვებად ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლას.

11.5 ხელშეკრულება შედეგინილია სამი თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი რჩება "მიმწოდებელს".

## 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი ურთიერთშეთანხმებით.

12.2 მხარეებს არ ენიჭება უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობა.

12.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ხელშეკრულებაში ცვლილებათა შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს "მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც წარმოშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულებაზე დამატების სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს,

12.5 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეულ პირობათა მოქმედების შეწყვეტის შესახებ, დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

13.2 მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების ძალაში ~დადგენილებით~ განსაზღვრულ ვადებში.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს სხვა ვალდებულებათა შესრულებისაგან.

13.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5 "შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

13.5.1 თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო "მიმწოდებელი" ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.5.2 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.6 "შემსყიდველი", ამ მუხლის 13.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ფაქტიურად გაწეული "მომსახურების" ღირებულება (არასრული თვის შემთხვევაში ნამუშევარი კალენდარული დღეების პროპორციულად).

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1 "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და შესაბამისად "მომსახურების" მიზნობრივად გატარების შესახებ "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

14.1.1 ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ინსპექტირება, რომელიც შეეხება ყოველთვიური "მომსახურების" პერიოდს (ან "მომსახურების" დასრულებულ ციკლს) და ჩატარებულ იქნება მომდევნო თვის განმავლობაში.

14.1.2 არ აანაზღაუროს ინსპექტირების შედეგად არაკორექტულად მიჩნეული სამუშაოები და ხარჯები და დააყენოს საკითხი შესაბამისი პასუხისმგებლობის შესახებ, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

15. უფლებების გადაცემა

15.1 "მიმწოდებელს" არა აქვს უფლება "შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებითY გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 16. დაუძლეველი ძალის მოქმედება

16.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

16.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან

„მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შიეძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით. რომელსაც ცნობენ მხარეები.

16.3. დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

16.4. დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

## 17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის, წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ გვარდება მოლაპარაკების წესით, დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

17.2 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი აცნობებს მეორე მხარეს.

## 18. გამოსაყენებელი სამართალი

18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 19. ხელშეკრულების ენა

19.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

## 20. ურთიერთობა მხარეებს შორის

20.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით, ან პირადი გადაცემით (კურიერის მეშვეობით).

20.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობის დარღვევისათვის

21.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების სრული შესრულებისათვის.

21.2 "მიმწოდებელის" პასუხისმგებლობა ვრცელდება არა მარტო გასაწევი "მომსახურების" ფარგლებში, არამედ "შემსყიდველისათვის" ყველა იმ დანახარჯების ანაზღაურებით, რაც აუცილებელი იქნება მის მიერ სახელმწიფო პროგრამის აუცილებელი შესრულებისათვის. 21.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეების პასუხისმგებლობა განისაზღვრება დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

22. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

22.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2013 წლის პირველი აგვისტოდან 2013 წლის 30 ნოემბერის ჩათვლით.

22.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

22.3 ხელშეკრულების მოქმედება წყდება მხარეების მიერ ვალდებულებათა შესრულების შემდგომ, მიღება-ჩაბარების და ურთიერთშეთანხმების ოქმების შედგენის შემდგომ.

23. მხარეთა რეკვიზიტები

| ,,დამკვეთი" | „შემსრულებელი" |
|---|---|
| სსიპ – ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი | არასამეწარმეო იურიდიული პირი "ადიგენის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური. |
| მისამართი: ქ. თბილისი, ასათიანის ქ.9 | დ. ადიგენი, ა.ბალახაშვილის #27 |
| საიდენტიფიკაციო კოდი 211324351 | საიდენტიფიკაციო კოდი 222729359 |
| ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა | სს "ლიბერთი ბანკის" სამცხე-ჯავახეთის განყ/ |
| ბანკის კოდი ბ/კ 220101222 | ა/ა GE17LB0121149478406000 |
| ანგარისწორების ანგარიში ა/ა 200122900 | ბ/კ LBRTGE22 |
| გერენელური დირექტორი | დირექტორი |
| ამირან გამყრელიძე | |
| ბ.ა. | ბ.ა. |

დანართი

| N | ეკონომიკური კლასიფიკატორი | სულ ხარჯი (1 თვე) | სულ ხარჯი |
|---|---|---|---|
| | საქონელი და მომსახურება, მათ შორის: | 595 | 1190 |
| 1 | შრომის ანაზღაურება | 490 | 980 |
| 2 | სხვა ხარჯი | 105 | 210 |

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა
კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრის
გენერალური დირექტორი

_____ ამირან გამყრელიძე

ბ.ა

_____

ბ.ა

ფორმა 1/ს

სარეგისტრაციო N _____

* მუნიციპალური ერთეული :_____
* დაწესებულების დასახელება: _____
* საბანკო რეკვიზიტები:
* შესრულების თვე: _____

| | ეკონომიკური კლასიფიკატორი | გაწეული ხარჯი (ლარი) | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| | საქონელი და მომსახურება, მათ შორის: | | |
| | შრომის ანაზღაურება | | |
| | სხვა ხარჯი | | |

დაწესებულების ხელმძღვანელი: _____

ბ.ა.